№ 77. 12 აპრილი, ალერა. 1866—1881 12 აპრილი, ალერა. № 77.

რედაქცია

გალავნის ბრილიანტეულნი. ივ. მუსრანსკის სახლებში ალუბის ქვეშთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროებაი“, „ალერის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ალერის“ აგენტთან ი. ჭეონიასთან ხელზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ალერის“ ფასი

წელიწადში, 6 თვის 3 თვის

„დროება“ და „ალერი“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ალერი“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

ALERI

ALERI

ALERI

მთელს ირლანდიაში ოთხ მილლიონამდე მცხოვრები ძლივს მოიპოვება.

ამ გვარი მოპყრობა ინგლისისა ირლანდიის ერთან ერთხელ კიდევ ცხადად გვიჩვენებს, რომ განათლება, კაცთ მოყვარეობითი მიმართულება, გუმანური პრინციპები ჯერეთ დაწინაურებულს კაცობრიობის ნაწილსაც კი მხოლოდ ენაზედ ადგია და ძველ-რბილში ჯერეთ არ ჩაუტანებია. ჯერეთ კაცობრიობა უფრო მხეცთა გროვას წარმოადგენს, მანამ სათნო ადამიანთ საზოგადოებასა. ჯერეთ მის მოქმედებას და ნებას მართავს ძველი დევიზი: ვაგლახი ძლეულთა. ჯერეთ იგი ფიქრობს სწორეთ ისევე, როგორც ფიქრობენ ბარბაროსები: რაკი მოგერიე და ხელში ჩაგიგდე, თვალსაც მოგთხრი, ტეისსაც ამოგსწოვ და ძალლიეთა დაგახრჩობო. ილაჯ-გაწყვეტილმა ირლანდიის ხალხმა თავისი უდიერი მდგომარეობა ვეღარ მოითმინა და ამ საუკუნეში, კვნესის მაგიერ, რომელმაც ყურიც არავის არ გაბერტყინა, ხშირად იწყო მღელვარება, შფოთვა, მუქარა, იარაღის ხმარება, შეუპოვარი წინააღმდეგობა ინგლისისა და ჩუმათ, ჩასაფრებით, ჭლეტა მემამულე ლორდებისა. ამ გვარი მოქმედებით ისე გაუჭირა საქმე ინგლისსა, და ისეთს მოუსვენარს მდგომარეობაში ჩააგდო, რომ იძულებული გახადა არ გაეწია წინააღმდეგობა იმ არსებისათვის, რომელნიც ცდილობდნენ ირლანდიის მდგომარეობის შეცვლას, გაუმჯობესობას.

ინგლისის სახელმწიფო პირთა შორის ირლანდიას უფრო მომეტებული მოყვრობა და საქმით თანაგრძნობა აღმოუჩინა ბლადსტონმა, რომელმაც მოახდინა თავის ხანგრძლივ ღვაწლიან სიცოცხლეში არა ერთი სასარგებლო და სასიქადულო რეფორმა ირლანდიის შესახებ. მაგრამ არც ერთი წინანდელი რეფორმა არ შეედრება იმ რეფორმას, რომლის პროექტი ამ დღეებში მან წარუდგინა პარლამენტს მისაღებათ და დასამტკიცებლათ. ეს იმგვარი რეფორმაა, რომელიც ახლავე ფეხზედ დააყენებს ირლანდიის გლეხობას და ახლო მომავალში ისე ძირეულათ შესცვლის მის სოციალურს მდგომარეობას, რომ ირლანდიის მამულ-დედული მთლათ გლეხობასვე ჩაუვარდება ხელში.

ეს რეფორმა ირლანდიის მემამულეებს თითქმის სრულიად ხელს უკრავს და ართმევს გლეხების შეევიწროების ლონისძიებას. ბლადსტონის ბილლის ძალით, ლორდებს უფლება აღარ ექნებათ, რომ ღალა თავის ნებით გადუჭრან გლეხსა, თავის ნებით დაითხოვონ ის მამულიდგან და და თავისი ნებით მოუშალონ მას ბინა. ამ საქმეების გამგებელად არსდება განსაკუთრებითი კომისია მედიატორებისა, ამ კომისიამ უნდა გადაჭრას ხოლმე ღალა თხუთმეტის წლობით, რომლის განმავლობაში მებატონეს თხოვნაც არ შეუძლიან ღალის მომატებაზედ. ბლეხს ნება ეძლევა, რომ ყოველ შეევიწროებაზედ, რომელსაც მას მემამულე მიაყენებს, უჩივლოს მას კომისიაში და მიიღოს დაკმაყოფილება. ბლეხს ეძლევა კიდევ ის ნება, რომ იჯარით აღებული მამული თავისი შენობებით მიჰყიდოს სხვასა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მსყიდველმა გადაჭრილი ღალა აძლიოს მემამულესა.

მაგრამ ყველაზედ დიდი მნიშვნელობიანი მხარე ამ რეფორმისა ის არის, რომ კომისიას ვალად ედება შეისყიდოს ლორდების მამულები, პატარ-პატარა ნაწილებათ დაჰყოს და მიჰყიდოს გლეხებსა იმ პირობით, რომ მათ ყოველ წლივ ცოტ-ცოტათი ეს ვალი გადაიხადონ ოცი, ოც-და-ათი წლის განმავლობაში. საჭირო ფული მამულების სასყიდლათ კომისიას უნდა მისცეს ინგლისის პარლამენტმა.

რაც შეეხება რეფორმის გამარჯვებას, ამაში ეჭვი არ უნდა გექონდეს, რადგანაც ინგლისის და ირლანდიის საზოგადოება, ჟურნალ-გაზეთები და თვით პარლამენტი სიხარულით მიეგებნენ ბლადსტონის ბილსა. ლორდების პალატას, რასაკვირველია, ვერაფრად ეპიტნავება ეს რეფორმა, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც ვერ გაბედავს ჯერ იმიტომ, რომ მემამულეების ჭლეტამ ირლანდიაში შეაშინა და ჭკუა ასწავლა და მეორეთ იმიტომ, რომ სამინისტროს ლონის-ძიება აქვს მისი წინააღმდეგობა გააუქმოს, მეტადრე ეხლა, როდესაც ლორდების ბელადმა ბიკონსფილდმა თქვენი ჭირი წაიღო.

რავდენათ ლიბერალურია ბლადსტონის ბილლი, ცხადად გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ირლანდიელმა რადიკალმა პარნელმაც კი აქო ის ერთს მიტინგზედ და გამოაცხადა სრული იმედი, რომ ეს ბილლი რავდენსამე წელიწადს გააუქმებს ახლანდელს შემავიწროებელს მდგომარეობას ირლანდიისასაო და მის კეთილ-დღეობას მტკიცე გზაზედ დააყენებსო. ღმერთმა ინებოს. ერთი დაჩაგრული ხალხის კვნესა მაინც მოაკლდება ამ ცოდვილს დედა-მიწასა.

ახალი ამბები.

—

დიდ მთავარს კავკასიის ნამესტნიკს გავლილ 28 მარტს მოუვიდა შემდეგი ტელეგრამმა ახალ-თეკეს ლაშქრის უფროსის ლენ.-ადიუტ. სკობელევისაგან:

„დღეს, 28 მარტს, ქალაქმა ასხაბადმა თავის მორჩილობა გამოგვიცხადა. ადრინდელი მთავარ-სარდალი თექელებისა აბაზ-მურად-თიკმა-სარდალ თავის ამალით, რომელშიაც რამდენიმე გავლენიანი სარდლები ერია, მოვიდა ჩემთან და ჩამბარა ხრმალი; ხრმალი უკანვე დაუბრუნე იმას თქვენის სახელობით და პატიობაც გამოუცხადე. თიკმა-სარდალმა ფიცი დასდვა, რომ ერთგული მოსამსახურე იქმნება ხელმწიფე-იმპერატორისა. ახალ-თეკელები თან-და-თან მოდიან მერვიდამ. თიკმა-სარდალის დამორჩილების შემდეგ ახალ-თეკეს ექსპედიცია გათავებულად უნდა ჩაითვალოს. 12 იანვარს აქეთ ახალ-თეკეს მხარეში არც ერთი თოფი არ გავარდნილა.“

***

პეტერბურღიდამ მოვიდა ნება-რთვა, რომ ახალ-კვირიდამ წარმოდგენების გამართვა შეიძლებაო. ამის გამო პირველი წარმოდგენა ქართულ დრამმატიულ ტრუპპისა, როგორც ამბობენ, ახალ-კვირის მეორე ან მესამე დღეს იქნება. რუსული დრამმატიული ტრუპპა კი ახალ-კვირა დღეს, 19 აპრილს აპირებს პირველ წარმოდგენის გამართვას.

ქართული ტრუპპა პირველ წარმოდგენისათვის ბაგოლის ხუთ-მოქმედებიან კომედიას „რევიზორს“ ამზადებს.

***

ჩვენ მივიღეთ, გაზეთში დასაბეჭდათ, შემდეგი საყურადღებო შენიშნვა:

„თქვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ბ-ნო რედაქტორო, რომ, როცა ჩვენში ახლად-გარდაცვალებული ხელმწიფე მოიჩრძანდა უკანასკნელად, საქართველოს თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა სთხოვეს მას სასწავლებლის გამართვა თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებელად შესახებ შვილების აღზრდისა. ამ თხოვნის შედეგი, როგორც მოგეხსენებათ, ის იყო, რომ მთავრობამ დაარსა თფილისში სამხედრო გიმნაზია.

„აქედამ სჩანს, რომ ეს გიმნაზია უმთავრესად ჩვენი თავად-აზნაურთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელად ყოფილა დაარსებული. მაშასადამე იმედიც უნდა გექონოდა, რომ ამ გიმნაზიაში, სულ თუ არა, უმეტესი ნაწილი მაინც მოსწავლეთა ქართველები იქნებიდნენ.

„მაგრამ რას ვხედავთ ახლა? ბრეულს პირველად ასრულებენ ამ გიმნაზიაში კურსს შაგირდები. ცამეტი შაგირდი ათავებს სწავლას, და როგორ გგონიათ, რამდენია ამათში ქართველი? —არც ერთი! ამათში ურევია ხოლოთ ერთი სომეხი და ერთიც თათარი, დანარჩენი სულ რუსები არიან.

„რითი აიხსნება ეს მოვლენა? რა მიზეზია? ეა ხომ ყველამ ვიცით, რომ ჩვენ თავად-აზნაურებს ყოველ წლობით ასობით ჩამოჰყავთ, მისაღებ ეგზამენების დროს, თავიანთი შვილები თფ. სამხედრო გიმნაზიაში და რომ მათ მოსამზადებელად არაფერს არ ზოგავენ ისინი...“

***

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ორი ახლად-გამოსული ქართული წიგნი: „რჩეული ლექსები და სხვა თხზულებანი“ თ. მიხ. თუმანიშვილისა და „გაზაფხული—ყრმათათვის საკითხავი წიგნი“ (წყარო № 2) ანთ. ჯაფარიძის რედაქტორობით გამოცემული.

ორივე წიგნს დიდის ინტერესით წაიკითხავს ქართულ მწიგნობრობის მოყვარე.

***

შოთიდამ გვწერენ, რომ ეს ოცი დღე სრულდება, რაც თითქმის გაუწყარებლად სწვიმს ჩვენშიც. ამ წვიმების გამო, ბაფუჯეფის ქუჩებში ისეთი ლაფი და ტბები დადგა, რომ ქვევითაც ვერ გაივლის ადამიანი და ფაიტონითაც საშიშია სიარული. ცუდის ტარიოსით შინ დამწყვდეული ჩვენი საზოგადოება დღე-და-ღამ ქალალდის თამაშს შეექცევაო; ახლა რამსი შეძოვიდა მოდაშიო და საცა არ გინდათ, ამას თამაშობენო.

***

ახალ-სენაკიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„იმ დროს, როდესაც ჩვენი ხალხი აღდგომასაეით შეჰხარის თავიანთ შვილების კლასში შეყვანას; როდესაც მრავალი დედ-მამები უკანასკნელ ჩოხასაც კი იძრობენ და ვალში ვარდებიან, რომ როგორმე ხელი მოუმართონ მათ გამოზდას; თურმე, ჩვენს განმანათლებელ პედაგოგებ შორის ყოფილან იმისთანა უგულო და უსულო პირები, რომელთაც ოცობით და ოც-და-ათობით მოწაფების გამოგდება სასწავლებელიდამ სულ უბრალო მიზეზის გამო კიტრათაც არ მიაჩნიათ. საქმე რაშია, მოგახსენოთ:

„სენაკის უეზდში დ. მარტვილში გახლავთ სასულიერო სასწავლებელი; ამ სასწავლებლის უფროსმა გამოუცხადა მოწაფეებს შობის დღესასწაულების წინ, რომ თქვენ ამა და ამ დღეს იქნებით დათხოვნილიო. ზოგიერთი მოუთმენელი ყმაწვილები აჩქარებულან და ერთი დღით წინ წასულან თავიანთ სახლში. აი ამ მძიმე დასაშაულობაზე ბ. ზედამხედველმა დანიშნა პედაგოგიური რჩევა, რომელსაც ჰქონდა სჯა ამ დღეებში, და როგორ ფიქრობთ—რა დასჯა გადაუწყვიტა ამ შესანიშნავმა რჩევამ დამნაშავე ყმაწვილებს? რჩევამ დაადგინა: გამორიცხოს სასწავლებლიდამ ოც-და-ათი ყმაწვილი!

„ეს თავის გადაწყვეტილება რჩევამ წარუდგინა დასამტკიცებლათ ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრილს. ყოვლად-სამღვდელო ძალიან გაკვირვებულა ამ ნაირ ხეპრულ გადაწყვეტილებით და დამტკიცების მაგივრად უკანვე დაუბრუნებია ეს წარდგინება. ძიდევ კარგი, რომ ჩვენი ყოვლად-სამღვდელო არ ეკუთვნის იმ პირთ, რომელნიც გადუკითხავათ ამტკიცებენ მათდამი წარდგენილ პროტოკოლებს, და ამ ნაირათ გადარჩა 30 ყმაწვილი.

„ეს ვერ გაუგიათ ამ ეაჟბატონებს, რომ, არა თუ 30-ის, ორი და სამი ყმაწვილის გამოგდებაც კი დიდი უბედურებაა საზოგადოებისათვის და დიდი შეურაცხყოფა სასწავლებელისათვის და მასწავლებელთათვის...“

ხელმწიფის მკვლელთა ჩამოლრჩობა.

3 აპრილს დილით მეათე საათზე სემიონოვის მოედანზედ, დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით მოიყვანეს სისრულეში სენატის სასამართლოს გარდაწყვეტილება შესახებ 1

მარტის შემთხვევის ხუთ დამნაშავეთა. დილით ადრიანათ ყველა ქუჩების კუთხეებზედ, გაკრული იყო განცხადება, რომ ხუთი მკვლელი ხელმწიფე-იმპერატორისა—პეროვსკის ქალი, რისაკოვი, ჯიბალჩიჩი, მიხაილოვი და ჭელიაბოვი დღეს უნდა იქმნენ სიკვდილით დასჯილნიო, ხოლო ზელფმანის ქალის შესახებ გამოცხადებული იყო, რომ რადგანაც ოფიციალურად დამტკიცდაო, რომ ის ორსულათ ყოფილა, კანონის ძალით სენატის გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა გარდაიდება სანამ მორჩება.

ეველა ზემოხსენებულ ხუთ დამნაშავეთ წინა დღით 2 აპრილს, საღამოს შვიდ საათზედ გამოუცხადეს თავიანთი ხვედრი და ამასთანავე ისიც, რომ მიხაილოვისა და რისაკოვის თხოვნა პატიობის შესახებ დარჩენილ იქმნა უყურადღებოთ. ეველა დამნაშავეთ, გარდა პეროვსკის ქალისა, აღსარება უთხრეს მღვდელს.

დილით ადრიანათ იმ ქუჩებზე, რომელზედაც უნდა გამოეტარებინათ დამნაშავენი, დიდ-ძალი ხალხი იყო მოგროვილი; უფრო მეტი მოგროვილიყო სიმეონოვის მოედანზედ, ჯარის უკან, რომლითაც შემორტყმული იყო ის ალაგი, სადაც გამართული იყო ეშაფოტი.

სწორეთ რვა საათზედ, ორი პავოსკა ხუთი დამნაშავით დაიძრა დროებით სატუსალოდამ შპალერის ქუჩიდამ სიმეონოვის მოედნისკენ, ლიტეინის პროსპექტით, ქიროჩნის, ნადეჟინის ქუჩებით, ნევის პროსპექტით და ნიკოლაევის ქუჩით. დამნაშავეთ ეცვათ სატუსალო შავი ტანთსაცმელი, გულზედ ყველას ეკიდა ოთხ-კუთხი შავი ფიცარი ზედ წარწერით: თეთრი ასოებით: „ხელმწიფეს მკვლელი“. ისინი მიკრული იყვნენ პავოსკის საჯდომის ზურგზედ, პირუკუღმა, ზურგი ცხენებისაკენ. პირველ პავოსკაზე მიკრული იყვნენ ჭელიაბოვი და რისაკოვი, მეორეზე—ჯიბალჩიჩი, პეროვსკის ქალი და მიხაილოვი.

დამნაშავეთ მოყვებოდა ორი ესკადრონი ცხენოსანი და ორი როტა ქვეითი ჯარი. აჰას გარდა გზებზედ, რომელზედაც უნდა გამოეველოთ ამათ, დაყენებული იყო თითო როტა,—ლიტეინის პროსპექტზე, ქიროჩნისა და ნადეჟინის ქუჩების კუთხეზედ, ნევის პროსპექტისა და ნიკოლაევის ქუჩის კუთხეზედ და თვითონ ნიკოლაევის ქუჩის ბოლოს.

ნელ-ნელა მიჰყავდათ დამნაშავენი დანიშნულის გზით, სადაც ცხენის რკინის გზებზედ მსვლელობა შეწყვეტილი იყო. ცალკე სამ კარეტაში მიჰყვებოდა მღვდლები, შემოსილი, ჯვრებით ხელში, რომ მიეცათ უკანასკნელი ნუგეში დამნაშავეთათვის. მედოლე სალდათები, რომელნიც წინ მიუძღოდათ დამნაშავეთ პავოსკებს, თითქმის შეუწყვეტლად უკრავდნენ ბარაბანს.

ხალხი სულ ემატებოდა და ემატებოდა სამოენოვის მოედანზე ასე რომ რვა ცხრის ნახევარზე ეს ადგილი წარმოადგენდა ამ გვარს სურათს: მოედნის შუა ალაგას ნიკოლაევის ქუჩის პირ-და-პირ, აგებული იყო ოთხ-კუთხი საღრჩობელა, სიგრძით ოთხ-ნახევარი, და სიგანით სამი საჟენი; სახრჩობელა აწეული იყო მიწიდამ ორ არშინზედ. ეშაფოტის გვერდზე დაყენებულია ორი სხვილი სვეტი ზევიდამ შეერთებული მესამეთი ზემოთ გადებულ სვეტზედ დამაგრებულია ექვსი გრგოლი. ეშაფოტზედ დგას გრძელი სკამი, რომელზედაც ჩამოხრჩობის დროს, შეაყენებენ ხოლმე დამნაშავეს. სუყველა ეს მოწყობილემა გაკეთებული იყო წინღამით და აგრეთვე ხუთი კუბოც, რომელნიც აწყვია აქვე ეშაფოტის უკან. ქუბოებიც და სახრჩობელაც შავად შეღებულია. მხოლოდ ცხადათ მოჩანს თეთრი კიბე მიყუდებული ზემოთ გადებულ სვეტზედ, რომელიც უცდის პალაჩს, რომ დაამზადოს საღრჩობელა.

ეშაფოტის წინ, ათ ნაბიჯზედ, დაგებულია ოთხ-კუთხივ ფიცრები, რომლიდამაც უნდა წაიკითხონ სენატის გარდაწყვეტილება.

ეშაფოტის ირგვლივ დაწყობილია ოთხ-კუთხით ექვსი ბატალიონი სხვადა-სხვა გვარდიის პოლკის სალდათები, ამათ უკან კიდევ ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი, ცხენოსანი ჯანდარმები და პოლიციელები. მაყურებელი ხალხი მოშორებული იყო ეშაფოტს ას საჟენზედ მაიც.

შეუცდომელათ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ძაყურებლების რიცხვი სამოცათასამდინ იქნებოდა. რუსულ და სამზღვარ გარეთის გაზეთის კორრესპონდენტებს ნება ჰქონდათ იქვე ეშაფოტთან ყოფილიყვნენ. ბანსაკუთრებით ბევრნი იყვნენ სამზღვარ გარეთის გაზეთების კორრესპონდენტები.

რვა საათზედ და 25 მინუტზე მოვიდა კარეტით პალაჩი, ფროლოსი, რომელსაც ერთი აფიცერი ახლდა. ეს გახლავსთ ჩასუქებული კაცი, ქერა წვერიანი, ჩაცმული გრძელი ტანისამოსი, რომლის ქვეშ მოუჩანს წითელი პერანგი. მის თანაშემწეს ეჭირა ხელში დიდი ტომარა თოკებით სავსე. ოთხი კაცის (ტუსაღების) შემწეობით, რომელნიც ამ საქმისთვის მოიყვანეს ციხიდამ, პალაჩმა საჩქაროთ ვაუყარა თოკები ზემო გრგოლებში და დაამაგრა. ამ გვარად დაამზადა ხუთი საღრჩობელა. მარჯვენა მხრით ერთი გრგოლი დარჩა ცარიელი (ზელფმანის).

რვა საათზე და ორმოც მინუტზედ მოვიდა სასამართლო პალატის პროკურორი და მასთან რამდენიმე პირნი სასამართლოში მოსამსახურენი და ობერ-სეკრეტარი სენატისა.

ცხრა საათს აკლდა ხუთი მიმუტი, როდესაც ბარაბანის და ცხენოსნის ჯარის წინამძღომლობით, ორი პავოსკა დამნაშავეებით მოიყვანეს სიმეონოვის მეიდანზედ. პირველად გაჩერდა საღრჩობელასთან ის პავოსკა, რომელზედაც იყო ჭელიაბოვი და რისაკოვი. პალაჩის შემწეობით რისაკოვი დააყენეს სვეტთან; მასთან გვერდით ჭელიაბოვი. მოვიდა მეორე პავოსკაც და პირველად დააყენეს ჯიბალჩიჩი მარცხენა მხრით, ამის გვერდით, მარჯვენივ იმავე სვეტთან მიხაილოვი. უკანასკნელად ჩამოიყვანეს პეროვსკის ქალი; მარჯვეთ ჩამოხტა პავოსკიდამ, შევიდა ეშაფოტზედ და გაჩერდა შუა ალაგას სვეტთან. რამდენიმე წუთის შემდეგ დამნაშავეთ მოხადეს ქუდები, ჯარს დაუძახეს „на караулъ“, დამსწრე სამხედრო პირთა ხელები ქუდებზედ მიიდვეს, სამოქალაქო ნაწილის პირებმა კი ქუდები მოიხადეს. ობერ-სეკრეტარმა პაპომ წაიკითხა სენატის გარდაწყვეტილება. შემდეგ პროკურორმა ფონ-პლევემ გამოაცხადა, რომ რისაკოვისა და მიხაილოვის პატიობის თხოვნა შეუწყნარებელი იქმნაო. გარდაწყვეტილების კითხვის დროს, გარდა პეროვსკის ქალისა, რომელსაც არ დაკარგვია სიმხნევე ყველა დამნაშავეთ აღელვება ეტყობოდათ.

სენატის განჩინების წაკითხვის შემდეგ მღვდლები ჯვარცმით დაუახლოვდნენ დამნაშავეთ და ურჩიეს მიეღოთ უკანასკნელი ნუგეში ამა წუთი-სოფლისა. ეველა დამნაშავეები ემთხვიენ ჯვარცმას, გარდა პეროვსკის ქალისა.

მოაწია საშინელმა ჟამმა განჩინების სისრულეში მოყვანისამ. რამდენიმე წუთის განმავლობაში ყველა დამნაშავეებს ჩააცვეს თეთრი სუდრები, რომელითაც დაუმალეს თავიც და ტანიც...

პირველად აიყვანეს სკამზედ ჯიბალჩიჩი დილის ცხრა საათზე და ცხრა მინუტზედ. მეორეთ, ერთი მინუტის შემდეგ, შეიყვანეს მიხაილოვი. ამის შემდეგ ჭელიაბოვი, პეროვსკის ქალი და ბოლოს რისაკოვი. პირველის ჩამოლრჩობიდამ უკანასკნელის ჩამოლრჩობამდისინ გავიდა ცამეტი მინუტი...

ოც-და-ხუთი მინუტის შემდეგ პროკურორმა უთხრა ექიმებს, შეამოწმონ: მკვდარი არიან, თუ არაო დამნაშავე. ექიმები შეეიდნენ ეშაფოტზედ. დამზადებული იყო ხუთი კუბო, რომლებშიაც ჩააწყვეს ჩამოხსნილი გვამები ჩამოლრჩობილთა

ცხრა საათზედ და ორ-მოც-და თხუთმეტ მინუტზედ პროკურორმა გამოაცხადა, რომ სენატის გარდაწყვეტილება სისრულეშია მოყვანილიო. ამ განცხადებით გათავდა უკანასკნელი მოვალობა სასამართლოისა, რომელიც მონდომილი ჰქონდა მას ამ საქმეში...

ქუბოები ჩამოლრჩობილ გვამებით დადვეს ურმებზე და წაიღეს ნიკოლაევის რკინის გზისკენ, საიდამაც უნდა წაელოთ პრეობრაჟენსკის სასაფლაოზედ დასასაფლავებლად. ამის შემდეგ რამდენიმე მინუტში დამალეს ეშაფიტი ადრევე დამზადებული მუშების შემწეობით...

„დროების“ კორრესპონდენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთი, 3 აპრილს. — ამ მარტის „ნასესხებმა“ დღეებმა სწორეთ მოგვაბეზრა თავი. წვიმა, სიცივე, ტალახი, ყველას ჩვენ და შესაწუხებლათ გზავრის ზეცა. მაგრამ ყველა ამ შეწუხებას გვავიწყებს ეს ახლად ამწვანებულ მინდორისა და ტყის გადახედვა, რომელიც გვიღვიძებს იმ გრძნობს და გულის სურვილთ, რომელთ აჭყვავება, ადამიანის გულში, მარტო გაზაფხულს შეუძლია... როგორც მშვენიერი მუსიკის ხმა ატკბობს ადამიანის სმენას, ისე ეს ლამაზათ მორთული ბუნება ატკბობს ჩვენს თვალს და გულს; ატკბობს და აღძრავს ადამიანის გულში, რაღაც უჩინარის ძალის შემწეობით, ყოველივე კეთილისადმი ლტოლვილებას, ყოველ პატიოსნურ განწრახულებას...

ჩვენი ფოთის მცხოვრებლებისათვის კი ვერაფერი სიკეთე მოაქვს ამ გაზაფხულს: საშინელი ქურდობით იწყება ფოთისთვის ეს სასიამოვნო წლის დრო. ავაზაკებმა აგვიკლეს! გამოგვიცხადეს საშინელი ომი. ყოველი მცხოვრები, დაღამდება თუ არა, შეიარაღებული მოელის მოუწვეულ სტუმრებს, რომ დაიცოს თვისი ცოლშვილი და ქონება. წყლიდან წალეკის შემდეგ ამისთანა არაფერი მოგვსწრებია-რა. ყველას დარდს ეს შეადგენს დღეს.

ამ ათი დღის განმავლობაში გაქურდეს, სხვათა შორის, შემდეგი პირები: ტამოჟნის ჩინოვნიკი ბაბინი, სტეფანე ვარძელოვი, ნიკო ქუცია, დიმიტრი ავგერინო, ქოხტა ქიზირია, ზოჯასპირ ჭოჭუა, ანდრი ხოშტარია-ვილაც არჩილ ზოგიჯანაშვილის მდგუარი მხატვარი, ზიგო ბოკურავა და ბევრი სხვები, რომელთ მოთელა მთელ სვეტს გაზეთისას დაიჭერდა. ეა უკანასკნელი ბოკურავა ისრე გაუწმენდიათ, რომ უკანასკნელი საცვალი არ დაუტოვებიათ საწყლისთვის.

ეს ბატონები არაფრის წაღებას არ უკადრისობენ: რაც მოხვდებათ ხელში, მიაქვთ; ბაბინის სახლიდან, სხვათა შორის, გაუტანიათ საკერავი მაშინა. მაშინა წაუღიათ და ძაფის კოჭა დარჩენილა სახლში, ასე რომ სანამ ეს კოჭა ძაფი არ დალეულა, მათი კვალის მაჩვენებლათ, მეორე დღეს პოლიციის. თვის ეს გზა-გზა გაყოლებული ძაფი ყოფილა.—საღამოს მერვე საათზედ ბაღში მიმავალ ვიღაცას დენშჩიკს დახვედრიან ხანჯალ ამოღებულები; წაურთმეფიათ ცხრა აბაზი ფული, ვაუხდიათ ფეხ-საცმელი და ისრე ტიტლიკანასთვის გზა დაუღიაციათ.

როგორც ეტყობა, მოქმედებს კარგი თავდარიგიანი შაიკა და თუ მალე არ მოუღეს ბოლო მათ მიმოსვლირნობას, თქვენი მტერია ისინი ზარალის მოგვცემენ. ერთის სიტყვით, სამხედრო მდგომარეობაზედ დააყენეს ფოთი.

ცხონებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე რომ უკანასკნელათ

ესტუმრა კავკასიას, საკუთარი ქვითკირის სახლი აუგო ფოთმა. ეს სახლი არის აგებული მშვენიერს ადგილს, შიგ ბაღში, სააგენტოს გვერდით, რიონის პირათ ზედ ნაესადგურთან. ძალიან დიდი ჯული დაჯდომია ქალაქს ამის გაკეთება: ყველა ოთახების და ბალკონების იატაკები მოგებული ყოფილა მშვენიერის თლილის მარმარილოს ქვითა, კედლებზედ ძვირფასი მხატვრობა, სახლის მოწყობილება საუკეთესო ევროპიულ ფაბრიკებიდან გამოწერილი. მნახველნი ამბობენ თითვეული ფარდის ფოჩვი ხუთ თუმნათ დაჯდაო. შიგ იყო რიონიდან გამოყვანილი მილებით წყალი. ერთის სიტყვით, მდიდრულათა ყოფილა მორთული.

ახლა ამ სიმდიდრესაგან რაღა დარჩენია ქალაქს, ნეტავი იცოდეთ? ცარიელი კედლები. აღარ არის არც მორთულობა სახლისა, არც იატაკი მარმარილოსი, არც სახურავი, არც საძირკვლები (ეს უკანასკნელები ისრე ხელოვნურათ გამოუღიათ კედლებიდამ, რომ ვაგიკვირდებათ); ერთის სიტყვით, აღარაფერი აღარ არის გარდა კედლებისა, ყველაფერი გაქურდული, აოხრებული, გაფუჭებული; ყველა ეს ვინ იცის ეხლა ვისს ოთახებს აშვენებს.

ამ სახლის კედლები ჯერ კიდევ კარგია; რა უჭირს ქალაქს გააკეთოს და ან პოლიცია დააყენონ შიგ და ან ვააქირაონ! ცოტა სარგებლობა იქნება თუ? თუ ეს არ შეგიძლიათ, ეს ხომ მაინც ადვილი საქმეა: სახურავი გაფუჭებულია, წყალი ჩამოდის და კედლებს აფუჭებს; შეაკეთეთ ეს და შეუნახეთ ეს ცარიელი კედლები მაინც იმ სანატრელ დროს, როცა ქალაქს მიენიჭება თვითმმართველობა.

ჩემი შენიშვნის შემდეგ, ხიდზედ რამოდენიმე ფარანი გაანათეს. სასიამოვნოა გაგება, რომ ჩვენ მზრუნველებს ცოტათი მაინც ჰქონიათ ნაბეჭდი სიტყვის პატივისცემა. მხოლოდ მანდილოსნები გამჯავრებიან: „როგორ გაბედა იმ.... (აქ რამოდენიმე მაგარი სიტყვები ჩემი ადრესით) გაზეთში დაწერა, რომ ჩვენ გულ-გაღეღილი დავხტივართ კლუბშიო და ორი ღერი რუსულის მეტი არ ვიცითო!“ ვაი ჩემი ცოდვა, რაღა მეშველება! მაგრამ ნათქვამია, თუ მართალი არ იყოს არც ასრე გაჯავრდებოდით. ვისაც პილპილი არ უჭამია, პირიც არ აეწვის...

ჯ—ველი.

რუსეთი

—

რუსულ გაზეთებში მოყვანილია სიტყვა, რომელიც განათლების ახალ მინისტრს სტატს სეკრეტარს ბარონ ნიკოლაის უთქვამს სამინისტრო რჩევის წევრებისა და პეტერბურღის სასწავლებელთა დირექტორებისათვის, როდესაც ესენი იმას გამოცხადებიან. ბარონ ნიკოლაიმ ამ სიტყვაში წარმოსთქვა, რომ 17 წელიწადია მას აქეთ, რაც იმან დასტოვა განათლების სამინისტრო; ამ ჟამად ბრუნდება ამ სამინისტროში მით უფრო სიამოვნებით, რომ თავის წინანდელ სამსახურიდამ გამოიტანა კარგი შთაბეჭდილება. მინისტრი დარწმუნებულია, რომ მომავალი მისი შრომა იქნება შემსუბუქებული იმის თანამშრომლებისაგან, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან მისს დედა-აზრებს. ეს დედა-აზრები მდგომარეობს იმაში, რომ ყველანი, ვინც კი შრომობს სწავლა-განათლების ასპარეზზედ, ვალდებულნი არიან დაიცვან კანონი და კეთილსინდისიანად აღასრულონ თავიანთი მოვალეობა. ოღონდ შეერთებულის შრომით ერთს მიზანს მივსდევდეთო, დაუმატა ბარონმა, და ჩვენ ჩვენს მოვალეობას შევასრულებთო.

— ტვერის გუბერნიის რამოდენიმე მაზრაში მომხდარა გლეხების არეულობა, რომელსაც მიეღწევია იქამდისინ, რომ ადმინისტრაციას საჭიროდ დაუნახავს გაეგზავნა ერთი ბათალიონი სალდათები ამათ დასამშვიდებელად. მიზეზი ამ არეულობისა, როგორც ამბობენ რუსული გაზეთის კორრესპონდენტები, ის არისო, რომ ვითომც ადრინდელი ნაბატონები ცდილობენ აღადგინონ ბატონ-ყმობის დრო და ამისთვის აფიცებენ კიდეც გლეხებსო. ამ გვარი ხმები გავრცელებულია სხვა სოფლების გლეხებშიაც, ასე რომ, თუ მთავრობამ მალე არ მოსპო ოფიციალურად ეს ხმები, ცუდი შედეგი ექნებაო, ამბობენ გაზეთები.

— რუს. გაზეთი „მოსკოვის ტელეგრაფი“ გვაცნობებს, რომ მთავრობამ წინადადება მისცა ევროპის სახელმწიფოებს, იქონიონ სასტიკი ყურადღება საშზღვარის ტამოჟნებზედ, სადაც ხშირად გააქვთ-გამოაქვთ სრულებით შეუნიშნავად სხვა-და-სხვა საქონელთან, ასაფეთქი მასალებიცო.

— პეტერბურღიდამ დეპეშით აცნობებენ მოსკოვის გაზეთებს, რომ სკობელევი თურქისტანის ღენერალ-ღუბერნატორად დაინიშნებაო.

— პირველ აპრილს ჩასულა პეტერბურღში სმოლენსკიდან ქალების დეპუტაცია.

—31 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის ანატომიურ ზალაში მომხდარა სტუდენტების ყრილობა. რექტორის თანაშემწეს გამოუცხადებია მათთვის, რომ დაშლილიყვნენ და რადგან მათ ეს წინადადება არ შეესრულებინათ, ამის გამო უნივერსიტეტის მთავრობას მოეხმო პოლიცია, რომელსაც იქვე ჩაეწერა სახელი და გვარი იმ სტუდენტებისა, რომელთაც კი მიეღო მონაწილეობა ამ ყრილობაში; ჩაწერის შემდეგ ყველანი გაენთავისუფლებინათ, გარდა ერთისა, რომელიც აღმოჩენილა ქიევის უნივერსიტეტის სტუდენტათ. რიცხვი თავშეყრილთა ორას ორმოც-და-თოთხმეტი იყო.

— პირველ აპრილს ხელ-მეორედ მოხდა უწესეობა იმავე უნივერსიტეტში. ანატომიურ ზალაში 2 საათის შემდეგ დარჩენილან რამოდენიმე სტუდენტები, რომელნიც ყვიროდნენ და უწესოებას სჩადიოდნენ და ამით უშლიდნენ მუშაობას იმ პირთა, რომელნიც შეკრებილნი იყვნენ ზალაში მკვდრების გვამების გასაჭრელად; ამათ გამოსაყვანად და წესიერების აღსადგენათ საჭიროდ ნახეს პოლიციის დახმარება; წესიერების დამრღვეველთ რიცხვი სამოც-და-რვა კაცი იყო.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. ათინიდამ იწერებიან, რომ საბერძნეთმა მიიღო ევროპის სახელმწიფოების ფინადადება და თავის პასუხში სთხოეს მათ, დაუდგენ თავდებათ საბერძნეთს, რომ ოსმალეთი უთუოდ გარდასცემს მას იმ ადგილებს, რომელნიც გარდაწყვეტილია პირობის ძალით.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ხიოსის კუნძულზედ მიწის-ძვრით დაიხოცა ცხრა ათასი კაცი და დაჭრილების რიცხვი ოთხი ათასიაო.

—

საბერძნეთი. *„République Française“*-ში, ბამბეტტას გაზეთში, თუნისის არეულობის შესახებ სწერენ:

„საქმე მდგომარეობს მარტო იმაში, რომ დასაჯონ ხრუმირის ტომის ხალხი. სისულელე იქნებოდა, რომ იფიქროს კაცმა, თითქოს საფრანგეთს ახალი ადგილების დაჭერა უნდოდეს“.

— თუნისის მთავარმა სთხოვა სულთანს უშუამდგომლოს მას საფრანგეთთან.

განცხადებანი

—

კარტუზების (ქუდების) სალადში ავეტ. აკოფოვისა

ეს-არი ახალათ მიღებული გვრშავიდან და მოსკოვიდან გამოსულნი მკერვალებისგნით ვაჟკაცებისა და უძაწვილების ფურაშკები (ქუდები) ახალი ფასონისა მაუდისა, ტრიკოსი და აბრეშუმისა, რომელიც ისუიდება ბევრათ ნაკლებ სხვების ფასებთან

სკლადი იმყოფება დვარცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, შადინოვის და ყალამჭაროვის მაღაზიების შუაში. (2—1)

მიიცემა ქირით

შუა ეტაჟა კიკნაძის სახლისა, ეგზარხოსის მეიდანზე, მომავალს 1 მაისიდამ. სადგომი შეიცავს ოთხ ოთახს თავის კუხნით და სარდაფით.

ამ სადგომის დაქირავების მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე, ქვემო-ეტაჟაში მდგომს დედა-კაცს კეკეს.

(3—1)

ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ

ერარდის ფაბრიკისა ისყიდება ოლგის ქუჩაზე, ტატო ბაბაშვილის სახლებში, 200 მანეთად. (1—1)

სუფრის მოწყობილობა, სასუფეები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად **ინგლისის მაღაზიაში.** (10—1)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა **აპრილს** 18-ს ნაშუადღევის პირველ საათზე, იმის თანადასწრებით **იქნება ვაჭრობა ფეთხაინის წყლის გასაყვან მილის გაკეთებისათვის.**

ამის პროექტი, სმეტა და პირობები მსურველს შეუძლიან ნახოს ქალაქის გამგეობის კანტელიარიაში მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, უქმე დღეებს გარდა.

(3—1)

„განმგებელი კომიტეტი ოგილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ამით აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს დილის 10 საათზედ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა აბადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქმნება საზოგადო კრება „საზოგადოების“ წევრთა.

განსახილველნი საგანნი:

ა) ანგარიში განმგებელი კომიტეტის წარსული წლის მოქმედების შესახებ.

ბ) კომიტეტის წინადადება სვოდისოვის საკუთარი სახლის შეძენის თაობაზედ. (5—3)

სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა, ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ემაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისუიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ ჰლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-ემაწილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტეოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10—3)

ხველის კამფეთები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი **ინგლისის მაღაზიაში.**

(20—20)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Апрѣля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჯავჯავაძე და ს. მესხი.